№ 123

კვირა, 12 ივნისი 1894

1877—1894

# ივერია

№ 123

კვირა, 12 ივნისი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელა რიის—სასახ-
ლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

„ივერია“
გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

## ტფილისი, 12 ივნისს

—

ერთი უდიდესი წუნი რუსეთის კანონისა ხმალში გასვლის შესახებ გაუქმდა სამუდამოდ.

ხელმწიფე იმპერატორმა ინება, რომ ამიერიდან ხმალში გასვლა სამხედრო წოდების კაცთათვის აღარ იქნას ჩათვლილი უკანონო მოქმედებად; ამიტომ ყოველს შემთხვევას, რომელსაც შესაძლოა ხმალში გაწვევა მოჰყვეს ჯარში მოსამსახურეთათვის, გაარჩევს თვით იმ ჯარისავე აფიცერთა კრებული და თუ საჭიროდ დაინახავს, ხმალში გასვლას დაავალებს.

ასეთის ცვლილების შემოღება, რასაკვირველია, სრულიად სამართლიანია და დროს შესაფერი. ამდენს ხანს ხმალში გასვლისათვის ციმბირი იყო დანიშნული და თუ სამხედრო წოდების რომელიმე კაცი ვერ გაჰბედავდა თავის მოწინააღმდეგეს ხმლით შეჰბრძოლებოდა, იძულებული იყო თავი დაენებებინა სამსახურისათვის, რადგანაც მეომარის კაცის ღირსებით დიად საფუძვლიანია ისეთის ამხანაგის განდევნა ჯარიდან, რომელსაც დავიწყებული აქვს, რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

მაგრამ თუ-კი ხმალში გამსვლელნი სახელმწიფო კანონით უნდა დასჯილიყვნენ, რაღა დანაშაული ჰქონდათ იმათ, რომელნიც ემორჩილებოდნენ არსებულ კანონს და არა ნდომულობდნენ ამ გვარად კანონის დარღვევას? სწორედ ამ ერთი მეორესთან შეუთანხმებელ აზრისათვის მიუქცევია ყურადღება სჯულის უმაღლესს დამდგენს და ამიტომაც დაუკანონებია, რომ სამხედრო წოდების კაცთ ამიერიდან ხმალში გასვლის უფლება მიენიჭოთ.

ამ სახით, სამხედრო წოდების კაცს თამამად შეუძლია თავისი შებღალული ღირსება დაიცვას და სამართალი არ ჩაუთვლის ასეთს საქციელს დანაშაულად.

მაგრამ ამავე მდგომარეობაში არ არის სამოქალაქო წოდების კაცი, რომელსაც ახალი კანონი ხმალში გასვლისა არ შეხებია. იგი, როგორც წინად, დღესაც იმ გვარივე დამნაშავე იქნება სამსაჯულოს წინაშე ხმალში გასვლისათვის, თუმცა საზოგადოება სამოქალაქო წოდების კაცსაც ისე ჰგმობს ხმალში გაუსვლელობისათვის, როგორც სამხედრო წოდებისას.

დიად ხმალში გასვლა ერთად ერთი საშუალებაა მრავალს შემთხვევაში. არის ხოლმე ისეთი გარემოება, რომლის გამოც არც სახელმწიფო მართლ-მსაჯულებაში მოსახერხებელია ლაპარაკის აღძვრა და არც სამედიატორო წესით. როდესაც ამ გვარს საგანს შეეხება შეურაცხმყოფელი, მაშინ, რასაკვირველია, მეტი ღონე აღარა რჩება პატიოსანს კაცს და უნდა მიანდოს თავისი სიცოცხლე ხმალსა და დამბაჩას.

მართალია, ხმალში გასვლა შუა საუკუნოთა ნაანდერძევი წესია სიმართლის დასამტკიცებლად; ხშირად ძლიერნი, უსამართლონი თავის ძალადობის დასაკანონებლად იწვევდნენ ხმალში მტერს და ამ გვარი ღონის ხმარება სრულიად არ ამტკიცებდა რომელისამე მხრის სიმართლესა და უმანკოებას; მაგრამ ვერც წარსულმა დრომ, ვერც ახლანდელმა სხვა უებარი წამალი შეურაცხყოფილის დასაკმაყოფილებლად ვერ მოიგონა და ხმალში გასვლა დღესაც ერთად-ერთ სავალდებულო საშუალებად ითვლება პატიოსნების დასაცველად, როდესაც მიზეზი უსიამოვნებისა ისეთის თვისების არის, რომ იმის შესახებ დავის დაწყება უკადრისია, მოუხერხებელია!

თითონ გარიბალდი, ეს ჩინებული რაინდი, ეს პირველი დემოკრატი მეცხრამეტე საუკუნისა, თავისს რომანში საჭიროდა სთვლის ხმალში გაწვევის ჩვეულებას, რადგანაც მრავალი ისეთი უწესო ადამიანია დედამიწაზედ, რომელთა შელაგმვაც მხოლოდ იარაღს შეუძლიათ.

ამას გარდა, თუ მთელი სახელმწიფოები თავის სიმართლის დასამტკიცებლად ხმალსა და იარაღს მიჰმართავენ ხოლმე, რისთვის უნდა გაიკიცხოს კერძო კაცი, რომელიც თავის პატიოსნების დასაცველად იძრობს ქარქაშიდან იმავე ხმალს?

საერთაშორისო დავაში სამედიატორო სამართალი კიდევ შესაძლოა, მაგრამ კერძო ცხოვრებაში-კი, ჩვენს დროს, ზოგ საგანზე ყოვლად შეუფერებელია.

იტალიაში არსებობს „სამსჯავრო პატიოსნებისა“, მაგრამ ამ დაწესებულებამ მაინც ვერ მოსპო ხმალში გასვლა ამ ქვეყანაში. ამ მაგალითიდანაც ის მტკიცდება, რომ არა ყოველ საქმის შესახებ შეიძლება იქონიოს მსჯელობა „სამსჯავრომ პატიოსნებისამ“ და ჩვეულება ხმალში გასვლისა მაინც საჭიროდ რჩება.

მართალია, არის ერთი ღონისძიება, რომ შეურაცხყოფილმა ღირსეული დაკმაყოფილება მიიღოს საზოგადოებისგან—ეს ის ღონისძიებაა, რომ საზოგადოებამ განდევნოს თვისგან უპატიოსნო შეურაცხმყოფელი, გასწყვიტოს მასთან ყოველი კავშირი, ზოგთან დროებით, ზოგთან სამუდამოდ. ამ გვარი სასჯელი უეჭველია სრულიად დააკმაყოფილებდა შეურაცხყოფილს.

მაგრამ არის განა სადმე ცას ქვეშეთს ასეთის მტკიცე და მაღალის ზნეობის საზოგადოება?

უკანასკნელ, დავუბრუნდეთ იმ ახალს კანონს, სამხედრო წოდების შესახებ გამოცემულს, რომელიც ჩვენის გაზეთის დღევანდელ № შივე იბეჭდება, და ვისურვოთ, რომ ამ გვარივე კანონი გამოიცეს საზოგადოდ, რადგანაც პატიოსნების დაცვა თანასწორად სავალდებულოა ყველა წოდებისათვის.

მეველე

## ახალი ამბავი

—

*** პარასკევს, 10 თიბათვეს, სამეურნეო საზოგადოების უკანასკნელი კრება იყო იმის შესახებ, თუ რა უნდა იითხოვონ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრთან. ამის გამო რჩევა ჰქონდა საზოგადოებას და დაადგინა, რომ საჭიროაო ვსთხოვოთ: დაარსებულ იქმნას კავკასიაში უმაღლესი სასწავლე-

## ფელეტონი

—

**აქაურ-იქაური**

(ანდაზა.—რა ენაღვლება—„ზედა-მხედველი სამება“.—სასიამოვნო მოვლენა.—მე ის არა ვარ.—ახალმოდის სარმა.—ვსთქვათ ყველაფერი მართალია.—ეს იმას მაგონებს.—გულ-გატეხილი.—„ობნოვლენიე“.—რაღა გვიჭირს?..)

«მისს ბედს ძაღლი არ დაჰყეფსო», ნათქვამია და მართლადაც აზრიანად ნათქვამია!.. იბადებიან ამ ჩვენს მშვენიერს დედამიწის ზურგზედ ისეთი ბედნიერნი, რომელნიც ქვა-ქვაზედ რომ დადუღდეს მაინც «ჰარალო-ჰარიალალოს» იმღერიან და დიდების საფეხურებზედ ოჩაფეხით ასვლას ჰლამობენ, დროშას აფრიალებენ და თამამად გაიძახიან:

„მე ვარ და მე ვარ დიდება და სხივი ჩემის ერისაო!..“

ზოგიც ისეთს ვარსკვლავზე იბადება, რომ მასთან საომრად რა იარაღიდაც უნდა აღიჭურვო, რა ფარხმალიც უნდა მიაშველო, რა კანონიც უნდა მოიმხრო,—ის სულ ქერის ორმოში ტრიალებს და იუდისებური დაცინებით გამოღიღინებს:

„თუ გინდ დაიქცეს ქვეყანა—რამენაღვლება მენაო!..“

ერთს ამ მაგალითთაგანს მომაგონებს ერთი ჩვენი საზოგადო საქმის მეთაურის ბედი!.. დრო მოუვა, თუ დრო წაუვა; კენჭს უყრიან, თუ არ უყრიან; მმართებლობის ბრძანებას მოიმხრობენ, თუ არ მოიმხრობენ, ასე, თუ ისე—ის იმ საზოგადო საქმის თავმჯამელი მეთაურია და მეთაური!.. „რადგანაც საქმე შეჩერდა—ეს უფრო ცუდია მისათვის, ამბობენ ზოგიერთნი—უთუოდ გამოაბრძანებენო და სხ.“ სხვისთვის ცუდია, თუ კარგია—მაგისი-კი რა მოგახსენოთ და მისათვის პირადად რომ კარგია—ამას ლაპარაკი არ უნდა! რაიცა შეეხება „ოდესმე მისს იქიდამ გამობრძანებას“—ამაზე ამათ უნდა მივუგოთ: პეტრეს მოსვლამდის პავლეს ტყავს ისე გააძრობს, რომ ნიშანიც აღარ დარჩება მისი—ჰქონდა პავლეს ოდესმე ტყავი, თუ უტყაოდ დაიბადა...

**

მერე ხვალ?—მკითხოს იქნება ვინმემ—ხვალ, როცა გამოაბრძანებენ, რაღას იქს? მაშინ ხომ დავაღწევთ მისაგან თავს?.. მაშინ... მაშინ, დიაღ, მართალსა ბრძანებთ, მაგრამ, ერთი ხელოსნის არ იყოს, „ვაჰ, თუ სანამ კატუნას ვნახავდეთ—ვირთაგვამ გაგვაწყალოსა!..“ სანამ ვეზირების მოხსენება სახლთ-უხუცესებს მოეწონებოდეს, თავის განაჩენს დასდებდენ და სანამ ის განაჩენი ჩვენს კურთხეულ ქვეყნამდის მოაღწევდეს,—მანამდის იმ მეთაურის სამეთაუროს მგონია ასე მიეწერება:

„აქაც კარგი რამე იყავ—იქ ნათელი დაგადგესა!..“

მაგრამ „ზოგი თხისკენ და ზოგი მგლისკენ“ ნათქვამია და მართალიც არის... ნურც იმას დავიჟინებთ, რომ ეს მარტო მეთაურის ბედნიერი ვარსკვლავის ბრალი იყოს,—არა! ეს ზედამხედველი სამების ძალი და ნებაა... საღვთო წერილში სამება, მოგეხსენებათ, ასეა აღნიშნული: მამა, ძე და სული წმიდა, სამივე ერთად—ერთი ღმერთი!.. იქაური ზედამხედველი სამება-კი აღინიშნება:

მამა არის თავი—მელა,
ძე—ჩუმ-ჩუმი, ვერ რის მთქმელა,
სული წმიდა—თვით ხნიერი
მოქამანდე არაქელა,
და სამივე—ერთი სული,
მეთაურის ხსნა და შველა!..

ამისათვის სანამდის ეს ძალ-მოსილი სამება იქნება—ტყუილად ნურავინ ფიქრობს მეთაურის შემძრევას!.. ყოველ გაჭირვების დროს „სამება და მისი ძალი გამოიხსნის მეთაურსა!.. და მათ სამებობის დროს ისე ვერავინ დაინახავს იმ სამეთაუროს თახჩებს, როგორც უსარკოდ თავის ყურებს...

**

მაგრამ ამ ჩვენგან დავიწყებულ საქმეს, ჩვენს წყლულს ნუღარ მოვიგონებთ, თავი დავანებოთ და ახლა ჩვენს ქუთაისს სხვაგვარად გარდავავლოთ თვალი!.. დიაღ, ქუთაისს შორიდგან უნდა მივესალმო, მივეალერსო, გულში ჩავიკრა!..

„მოდი ჩემო ქუთაისო,
სავარდო და სამაისო..“

უნდა ჩაგიკრა გულში შენი მტვერით, შენი ჭორებით, შენი ეშმაკობით, მისთვის, რომ ამათთან ერთად მე შევხვდები შენს მშვენიერს და შეუდარებელ ბუნებას, შენს მკვირცხლს, გონიერს, ნიჭიერს, თვის მამულის მოყვარულ ერს, შენს... მაგრამ, ვაი, მეშინიან... ან და რისა უნდა მეშინოდეს—ამ სიშორეს ვინ მომარტყავს ისარს... მაშ ვიტყვი... შენს მშვენიერს, სიცოცხლით და ეშხით სავსე მანდილოსნებს!..

სხვა რომ არა იყოს-რა—მისთვის გარდაგეხვევი, რომ სამოქალაქო არჩევანები რიგიანად ჩაგიტარებია!..

„ისევ შენ და ისევ შენ
იმერეთო მალხაზო!..“

**

მაგრამ ამისთანა ჩემს აღტაცებას, ჩემს ალერს—თანაგრძნობას არ გამოუცხადებს ერთი მათგანი, რომელიც გამოაზრძანეს... როგორც გავიგეთ ამ ვაჟ-ბატონს ბევრი უძახნია კრებაზედ: „მე ის არა ვარ!.. ქალაქში რაც იყო, იყო,—აქ ქუთაისიაო; ქალაქი სხვა არის და ქუთაისი სხვაო; ისინი სხვები არიან და მე—სხვაო; ისინი გარეშენი არიან, მტრები და მე-კი თქვენი ვარ, მოყვარე ვარო და სხ. მაგრამ, არ მოგეცეს ღვთისა და ბატონის რისხვა ეს ღადადი იმერლებს არ გაუგონიათ: „არა, ჩემო ივანეო კარზე ჩამომჩივანეო.—მაგ კრინმანჭურს როდის ვმღეროდით აღარც-კი გვახსოვს, ახლა სხვა სიმღერებია „მოდაში“, უფრო ახალი და იმას ვმღერითო; კარგათ ვიცით, იმ ერთის თქმისა არ იყოს, როცა სასესხებლად მოხვალ—მაშინ ივან არაქელოვიჩი ხარო და როცა ვალის გამოსართმევად გიახლეიბთ—მაშინ არაქელ ივანიჩად იქცევიო..

„რაც მოგიგა დავითაო
ყველა შენი თავითაო“...

რად დაგავიწდა იმერული სარმა?!.

**

იმერულმა სარმამ მომაგონა!.. იმერული სარმა, კარგი ხანია ცნობილია, მაგრამ ისეთი ლაზათიანი სარმა, თუ იცოდენ იმერლებმა, როგორც ერთმა „იმერელმა“ აქ, ტფილის-

ბელი, ადგილობრივი სამეურნეო საადმინისტრაციო დაწესებულება, წვრილი სასოფლო სამეურნეო კრედიტი, ელევატორები და სხვ. ბ-ნმა მელიქბეგლაროვმა განაცხადა, ვიშუამდგომლოთ ჯერ მარტო იმის შესახებ, რომ უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი დაგვიარსონ და გზები იქმნას გაყვანილიო. ბ-ნმა ევანგულოვმა ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა აბრეშუმის მოყვანის განკარგებაო. საზოგადოება დასთანხმდა ამ აზრს მხოლოდ იმ პირობით, რომ ამიერკავკასიის საბრეშუმო სადგური სამეურნეო საზოგადოებისა და მიწადმოქმედების მინისტრის ზ. დამხედველობის ქვეშ იყოს ისევე, როგორც არის საბალოსნო სასწავლებელი. შემდეგ საერთო კრებამ დაადგინა ამოერჩია განსაკუთრებული კომისია 4 კაცისაგან, რომელთაც საზოგადოების თანხმობით უნდა შეადგინონ და შეიმუშავონ მოხსენება მინისტრის წარსადგენად. ხოლო ვიდრე მინისტრი განიხილავდეს, ეს მოხსენება საზოგადოებამ გასინჯოსო. ამ კომისიის წევრებად ამორჩეულ იქმნენ ბ-ნნი ვერმიშევი, გეევსკი, კალიჩევსკი და ენფიანჯიანცი.

*** გუშინ, 10 ივნისს, ღამის 12 საათზედ, მიხეილის ხიდიდგან ვიღაც ევროპიულად ჩაცმული ქალი მტკვარში გადავარდა და დაირჩო. ამ ქალის ვინაობა არ იციან.

*** ჩვენ მივიღეთ ნიკო თავდგირიძისაგან ორმოც-და-ათი მან., შეკრებილი შოთა რუსთაველის ფონდის სასარგებლოდ ოდესის ქართველთა შორის გრიგოლ სალორაშვილისა და სხვათაგან. ამ ფონდისა აქამდე გვქონდა 959 მან. 82 კაპ., ამითი შესდგა 1009 მან. 82 კაპ.

*** მივიღეთ თ. კიკვაძესაგან რვა მანეთი, ქიათურაში შეკრებილი, ქართულ სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ, იმ ფულების შესავსებლად, რომელიც მიეცა ზემოხსენებულ ფონდიდგან განსვენებულს ეგ. ნინოშვილს. ამ ფონდისა აქამდე იყო 20 მან. 10 კაპ., ამითი შესდგა 28 მან. 10 კაპ.

*** წრეულს ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლა დაამთავრა სამმა ქართველმა: ისტორიკ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზედ მ. ჯანორიძემ და იურიდიულ—ს. გელოვანმა და ი. ქავთარაძემ.

*** ჴნოლევის ხეობა (ქართლი) ჩვენს ხეობაში მოსავალს ძალიან კარგი პირი უჩანთ, თუ ბოლომდის ასე გასტანა. ჩვენს ხეობაში აქამდე ვაშლს ისე ესხა, რომ იტყოდით ბოძები უნდა მიეცეს, თორემ ტოტებს დაამტვრევსო, მაგრამ აღარა ფერი მოუნდა: გაუჩნდა რაღაცა პატარა მატლი და სულ ერთიანად გაგვიხმო, ვგონებ თავის დღეშიაც ვეღარა უშველოთრა. იმას კიდევ ჯანი გავარდეს, ვაშლს რომ ფოთოლი გამოელია, მერე ვაზზედ გადავიდა და ახლა ლამის იმისგანაც ცარიელი დაგვტოვოს. ძალიან კარგი იქნებოდა, რომ მთავრობამ ამას ყურადღება მიაქციოს და გამოიძიოს, რა ჭიაა ასეთი მატლი.

*** ევლახის რკინის გზის სადგურიდგან გაზ. „Тиф. Л.“-ს დეპეშით ატყობინებენ, 8 ივნისს მიწის ძვრა მოხდა. დღეს, 9 საათზედ და 48 წამზე დილით, მიწა ხელმეორედ იძრა. პირველად საშინლად შესძრა მიდამო, მერე-კი ისე ირყეოდა თითქო ზღვის ტალღები იყოსო, მიმართულება ჰქონდა ჩრდილოეთ-დასავლეთიდგან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. სადგურის იმ შენობაში, სადაც საქონელი ინახება, კედელი გასკდა. მიწის ძვრამ სამს წუთს გასტანა.

*** „Нов. Об.“ ამბობს, რომ ის ავაზაკნი, რომელნიც წარსულის წლის 17 ენკენისთვეს დაეცნენ ნიგოითის რკინის გზის სადგურზედ „არტელის“ უფროსს საქონლის მატარებლით მომავალს 20 ათასი მანეთ ფულით რაც რკინის გზის სადგურების მოსამსახურეთათვის უნდა დაერიგებინა, უკვე შეუპყრიათ და სისხლის სასამართლოში მიუციათ. ამ ავაზაკობის ჩამდენი ყოფილან: კაცია ბაქიშის ძე გურჟიძე, მელენტი (იგივე ბენედიკტე) ანტონის ძე ბოლქვაძე, ანდრია სირიას ძე გიგინეიშვილი, ოტია ბეკოს ძე გიგინეიშვილი, ნაკონდუქტორალი, ვლადიმერ კომახიძე და დათა როსტომის ძე მიქელაიშვილი, რომელიც წარსულის წლის 18 ქრისტეშობისთვეს მოჰკლეს ჩაფრებმა.

## დამაკვირდი

—

სულისათვის მშვიდობა და მარტოობა იგივეა, რაც სხეულისათვის ფარეზობა.

ვოვენარგი

**

მშიერს უფრო ადვილად ეშველება, ვიდრე გადაჭარბებით გამაძღარს..

მარია ებნერ-ეშენბახი

***

ბუნდოვანს ცაზედ გამოკაშკაშდა
ტანჯული იმედი—ბრწყინვალე მთვარე,
დაამხო ძლევა ღამის წყვდიადის
გაასხივ-ცისკრა ივერთა მხარე...

—

ღირსი საყდური ცთურ ნათლისა
ზნელით მოცულსა ერში იშოვა,
მოჭვენს შუქი ღვთისგან რჩეულთა
მსწრაფლ მოაშორა ძაძა და გლოვა.

—

დაღლილ, დაჭანცულ, გზა არეულთა
ნათლით მოჰფინა ციური ძალა;
ბუნებამ დღემდე მიჩუმებულმა
წამით ყველაფერს ფერი უცვალა.

—

ისმის ზართა ხმა მონასტრებიდგან
დახშულ ტაძართა გაახსნეს კარი,
ხალხი ცრემლის ღვრით ღმერთს მადლ-
სა სწირავს
რომ კვლავ აღინთო წმიდა ლამპარი!..

—

მდინარე, დღემდე შეგუბებული,
გაჩქარებული მოჩქეფს, მოჩგორავს,
ჭგლეჯს ეკალ-ბალახს რიყეზედ გაზრ-
დილს
აღელვებული ქვას ქვაზე ჭყორავს.

—

ნაპირს დიდის ხნის გამშრალ-გამხ-
მარსა
აღბობს, ასველებს, თითო ქვას იყენებს,
გველებრ ეკლაკნის ორსავ კიდესა,
გულ-ამღვრეული ველარ ისვენებს!..

—

მთა-ბარს მოეხსნა შავი მანტია,
ნათლით მოირთო ტურფა ბუნება,
აჭყავდა ველი, ვარდს გადაშლილსა
გრილი ნიავი ესალბუნება.

—

ვარდისა ბუჩქთან მიმინებულმა
ბულბულმა იწყო საამოდ სტვენა
და მასთან ერთად სხვა ფრინველებმაც
ჭიკჭიკ-გალობით ადიდეს ზენა.

—

მწუემსი მინდორში სალამურს უკრავს,
კრავი დედასთან ხტის და კუნტრუშებს
გლეხი ჩალას სჭრის ტკბილის დიდინით,
ღამე დღედ ქცევით ერთგულსა მუშებს!..

—

მძლავრი, ამაყი კავკასიის მთა
მტრის თვალის ეკლად ამართულია,
ვით პატარძალი სპეტაკს სამოსში
თავით ბოლომდე გახვეულია.

—

თავზედ ადგას თეთრი გვირგვინი
დრო-ჟამისაგან დაურღვეველი,
მტერთა გამგმირი, სასიქადულო,
შეუბღალავი, შეურყეველი.

—

და მკვლელის-მკვლელი ივერთა რეკა
გულში აქვს კავკასს ღრმად ჩამარხული,
მას ვერ ამოჭგლეჯს ვერა-რა მტერი,
იქ არის ჩვენი სული და გული!..

—

იცნობს შაჰ-აბაზს, ალა-მაჰმად ხანს,
ქართველთა დამრბევს, ამაოხრებელს,
ახსოვს იგი დრო, როცა დედის წინ
უსუსურს ყრმათა უღმრთოდ სჭრიდნენ
ყელს.

—

ახსოვს და მიტომ ასე მრისხანედ
გაჭყურებს განზე მტრისა ქვეყანას,
არ მიენდობა, არც თვით დაინდობს,
არც შველასა სთხოვს, არც უქადის
ხსნას!..

—

მას ატკბობს მხოლოდ თავის სამ-
შობლოს
ჭალა, ტყე, ველი, ხევი, მდინარე,
მასთან უცვლელი მისი ივერი,
ცა მოკაშკაშე და ბადრი მთვარე!...

განდეგილი

### სამხედრო მინისტრის ბრძანება

(20 მაისს 1894 წ. № 118)

უმთავრეს სამხედრო და ზღვათა სამხედრო სასამართლოთა შეერთებულ კრებულის უქვეშევრდომილეს მოხსენების შემდეგ ამა წლის 13 მაისს, ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და ბრძანა:

I. შემოღებულ იქმნას სამხედრო უწყებისათვის 1888 წლის სადისციპლინო წესდების 130 მუხლის დამატების სახით შემდეგი „წესი აფიცერთა შორის მომხდარ უსიამოვნებისა და ჩხუბის განსახილველად“.

1) ყოველთვის, როცა ან აფიცერი თავის ამხანაგს, ანუ სხვა გარეშე კაცი, გინა სხვა პოლკის აფიცერი მიაყენებს აფიცერს ისეთს შეურაცხყოფას, რომელიც მწიკვლსა სცხებს აფიცრის წოდებასა და ღირსებას, პოლკის კომანდირმა ეს საქმე უნდა გადასცეს განსახილველად აფიცერთა საზოგადოების სასამართლოს.

2) აფიცერთა საზოგადოების სასამართლო განიხილავს საქმეს იმ წესთა დაცვით, რომელიც სადისციპლინო წესდების 149 მუხლშია მოხსენებული და ეცდება შეარიგოს წაჩხუბებულნი იმ შემთხვევაში, თუ დაინახავს, რომ შერიგება არ შებღალავს აფიცრის ღირსებასა და არ დათრგუნავს პატიოსანის სახელის დაცვის ტრადიციებს; თუ არა და გადასწყვეტს, რომ ხმალში გასვლაა ერთად-ერთი მართებული ღონისძიება აფიცრის შეურაცხყოფილის სახელის აღსადგენად.

3) როცა წაჩხუბებულნი, სასამართლოს დადგენილების თანხმად, გადასწყვეტენ, რომ ჩვენი ჩხუბი ხმალში გასვლით უნდა გათავდესო, აფიცერთა საზოგადოების სასამართლო სცდილობს და თავის გავლენას ხმ რობს

---

ში, გამოიჩინა, — სწორედ ვერ წარმოვიდგენდით!.. ერთმა „ვინმემ“ გაბედა დ შეეხო ზოგიერთ მოღვაწეთ და ზოგიერთ თავისთავის მოღვაწედ მღაღადებელთ დ მიუთითა-რა საზოგადოებას მათ ლიტერატურ დანაშაულობაზე, დაჰგმო ის დანაშაულობა და საზოგადოებას მოსთხოვა-დაედო თვისი ამის შესახებ მსჯავრი... დრო მიდის და მკითხველის წინ იხატება შემდეგი სურათი; ყველა სდუმს, სდუმს საზოგადოება, სდუმს დიდის ხნის ცნობილი მოღვაწე, სდუმს „მწერალი“!.. დიდი პაუზაა... უეცრად, სიდგანაც არ იყოს—გამოტყვრა ერთი „იმერელი“—და „ვინმეს“ სარმა ახალმოდის სარმა მოსდო!.. პასუხი გასცა!.. მაგრამ ის-კი არ უთხრა: „შენ მართალი არა ხარ; შენ ვერ გაიგე, შენ მოგიჩორებია, მოღვაწე და „მწერალი“ მართალნი, სრულიად მართალნი არიან; შენ დაარღვიე ლიტერატურული წესი და საზოგადო სიმართლე და სხვა!.. ყოველ ამ გვარ კითხვებზედ, წერილის სიმართლე—სიმტყუნეზედ პირში წყალი ჩაიგუბა, ბურთვი ჩაიდო და წამოიღუღლუღა: ბატონებო!.. თქვენი ჭირიმეთ, ნუ ინებებთ, ვინმეს ნუ მოუსმენთ, მაგას მეკობრობის ნავი გაუტყდა, გაასილა, მაგას ხელ-ფეხ შეკრულს სახალინში გზავნიან, მაგრამ ახლა ცოტა ზღვა გაყინულია, ნავოსნობა შემდგარა და იანვარში, როგორც-კი ყინული დადნება და იალქნები თავისუფლად იმუშავებენ—მაშინ, ბატონო „კვალო“ და „მებაირაღევ“, თქვენი რისხვა ნუ მომეცემა,—იმას ჯაჭვით შეკრულს სახალინს არ ააშორებენო!.. ვაი, ვაი, ვაი!.. რაღაი გადადვეს იმდალოცვილებმა ზამთრამდის მისი სახალინზე გაგზავნა? რაც მალე გაგზავნიდნენ, მით უფრო მალე იმართლებდნენ თავს მოღვაწე და «მწერალი» თავის გაუმართლებელ დანაშაულში თორემ, თუ ის წყეული „ვინმე“ აქ დარჩა—კიდევ დაუწერს რასმე ამ სისაძაგლეზე და მაშინ ხომ ისინი ერთხელ კიდევ გაწითლდებიან?!...

**

ვსთქვათ—ყველაფერი მართალია, ვსთქვათ, მართალია, რომ „ვინმე“ არის უმართლო, სულ მდაბალი, მეტიჩარა და სულელი'.. ერთი გვიბრძანოს ბ. „იმერელმა“—ამით მოღვაწეს და „მწერალს“ ჯილა დაედგმებათ, ამაღლდებიან? ამითი მათი ბრუნდი მიმართულების მოძღვრება საზოგადოებას სამართლიანად მოეჩვენება? არა გვგონია!..

შეიძლება დიდი განათლებული, დიდი გაგებული, ჭკუა მახვილი და განვითარებული ადამიანი არ ბრძანდებოდეს, სამწუხაროდ, „კვალის“ „იმერელი“, მაგრამ ეს მაინც როგორ არ უნახავს იმ ვაჟბატონს, რომ ბევრჯერ რომლისამე დანაშაულის ასახსნელად, მოწმედ მიჰყავთ ტუსაღი, საუკუნოდ ყოველივე ღირსებას ახდილი და მისის ჩვენებით, დანაშაულზედ ხელის მითითებით ასამართლებენ ხშირად ძალიან საყვარელ, პატივცემულსა და დამსახურებულს პირს, რომელიც შემთხვევით დამნაშავეთა სკამზედ ზის!.. მაგრამ ამას გონება მაინც უნდა!.. ეს როგორ არ იცის, რომ ფსევდონიმით, რომ საზოგადოებას ელაპარაკებიან რომელიმე საგანზედ, მაშინ საზოგადოებას საქმე არა აქვს ფსევდონიმთან, არამედ ანგარიშს თვით საგანთანა სწმენდს და ადგენს თავის მსჯავრს? მაგრამ ამას სმენა უნდა!.. ეს როგორ არ იცის, რომ ფსევდონიმის გამოაშკარავება შეადგენს ლიტერატურულ უსვინიდისობას და უპატიოსნებას?.. მაგრამ იქნება მართლაც ის „იმერელის“ სულიერი მხარე ასეთი იყოს, მაშასადამე, ეს საერო კანონიც მისთვის დაწერილი არ იქნება!.. მაგრამ ჩვენ გვიკვირს და ვერ გაგვიგია ის, რომ რედაქციამ და გაზეთზე პასუხის მგებლად ხელის-მომწერმა ეს არ გაიხსენეს და თვით დასდვეს დისტური უგნურის ამ გვარს საქციელს!..

კარგი ხერხი და ღონე მოვვაწოდა „კვალმა“!.. ჩვენა ვფიქრობთ, რომ ამ ხერხს და ზომას „კვალის“ რედაქცია გამოაცხადებდეს საჯაროდ—უთუოდ ყოველი ევროპის გამოფენიდამ „პრემია“ მოუვა!.. ღმერთმა შეარცხვინოს ედისონის მოგონილი სხვა-დ სხვა მაშინები და იარაღები „კვალის“ იარაღებთან შედარებით!.. ისინი სათოფე მანძილზედაც ვერ მიეკარებიან, რაღა საჭიროა ვისმესთვის უპასუხოს გაზეთის შემწეობით, რომელიმე ბრალდებაზე: ყოველ დამწერზე (თუ გინდა იმან მრწამს ერთი ღმერთი დასწეროს) დასწეროს, რომ ის დამნაშავეა-თქო და საქმე გათავდება!—დანაშაული მიყუჩდება, მიიმალება და დამნაშავე, რომელიც საჯაროდ გაჰკიცხეს, ამ გვარის „იმრელ“ კაჟბატონების სისტემით სრულიად გამართლდებან და საზოგადოების თვალში უმანკო მტრედებათ ჩაითვლებან!..

**

კარგი სისტემაა, კარგი!.. მაგრამ ეს „სისტემა“ იმ ქონდრის კაცის სისტემას მაგონებს, რომელსაც გული შეექნა ჭიდაობას რომ უყურა და მეფეს სთხოვა—მეც დამჭიდეთ ერთი და ერთი ვინმეო. მეფემ სურვილი აღუსრულა და გამოუყვანეს ძას საჭიდაოდ ერთი მოჭიდავე.. იმ ქვეყნის ჩვეულება თურმე ის იყო, რომ ყოველ მოჭიდავეს ჭიდაობის წინ სახალხოდ უნდა აღეარა რა და რა ხერხი იცოდა და რას ჰფიქრობდა თავის მეტოქეზედ? შემდეგ მეტოქეც ამ წესვე აღასრულებდა დ ჭიდაობა ამ გვარად გაიმართებოდა...როდესაც „ქონდრის კაცის“ მოჭიდავემ თავისი ხერხები დაასახელა და სთქვა: ბ. მეფის მფარველობის ქვეშ რომ არ იყოს ქონდრის კაცი.—მაგას საცოდაობით არც-კი დავეჭიდებიო.,—ქონდრის კაცმა მოიღუშა და სთქვა: მე ისეთი ხერხი ვიცი, რომ მოჭიდავე დევ-გმირად რომ გარდაიქცეს—მაინც კისერს მოვსტეხავ, მაგრამ იმ ხერხს ბ. მეფის მეტს ვერავის ვეტყვიო. მივიდა და მეფეს ყურში წასჩურჩულა... მეფეს გაეცინა და ბრძანა ჭიდაობა გაემართად... ეცა ქონდრის კაცი მეტოქეს..-

იფიქრა!

ახლა-კი ჩემი მეტოქე
დავსცი და გავამწარეო,
ამ ჩემი „ხერხით“ საწყალსა
სამარე გავუთხარეო!..

მაგრამ მეტოქე ვერც-კი შეანძრია, იმან ერთი წარბიც-კი არ მოჰღუშა, პირიქით პირ-მცინარედ უთხრა:

სეკუნდანტებზედ, რათა დუელის ვითარება შეეწონებოდეს იმ გარემოებას, რომელმაც დუელი გამოიწვია.

4) უკეთუ ორი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც გამოცხადდება აფიცერთა საზოგადოების სასამართლოს გადაწყვეტილება და დუელი არ მოხდა, იმ აფიცერმა, რომელიც დუელზედ არ დასთანხმდა, უნდა ქაღალდი შეიტანოს სამსახურიდამ დათხოვნისა. თუ ასე არ მოიქცა, მაშინ პოლკის კომანდირი თვითონ სთხოვს მთავრობას, რომ ქაღალდის შემოუტანელად დაითხოვოს ის აფიცერი.

5) აფიცერთა საზოგადოების სასამართლოს მოვალეობა წინა § მოხსენებული გადაეცემა პირდაპირ ჯარის ნაწილის უფროსს იმ შემთხვევაში, თუ ზემოხსენებული სასამართლო არ არსებობს იმ ჯარის ნაწილში, ანუ თუ თვითონ შემთხვევა არ ეხება ობერ-აფიცრებს და მის უწყების საზღვარს არის გადაცილებული.

6) განსაკუთრებული წესი იმისი, თუ როგორ უნდა იქმნას მიმართული საქმე დუელებისა აფიცერთა შორის და როგორ უნდა იქმნას აღებული ნება-რთვა დუელისა სასამართლოს გარეშე ყოველ ცალკე შემთხვევაში, მოხსენებულია სამხედრო-სასამართლოს წესდებაში (შენიშვნა 553 მუხლისა),—და

II. შევსებული იქმნას სამხედრო სამოსამართლო წესდების 553 მუხლი შემდეგის შენიშვნით:

გამოძიება აფიცრებთა შორის იმისთანა სადუელოდ გამხდარის საქმისა, რომელიც თავის ბუნების გაბედულობით სასამართლოს გასარჩევია, ეგზავნება პროკურორის აზრითურთ შესაბამს უფროსს, რომელიც უგზავნის მერე აფიცერთა საზოგადოების სასამრთლოს გადაწყვეტილების ზედ-დართვით სამხედრო მინისტრს, რათა მან ხელმწიფე იმპერატორს მოახსენოს უქვეშევრდომილესად ამ საქმეთა შორის ისეთნი, რომელთა წარმოებაც ჩვეულებრივის სამოსამართლო წესით დანახულ არ იქმნა შესაძლებლად.".

ვაცნობებ-რა ამ უმაღლესს ბრძანებას სამხედრო უწყებას, რათა ჯეროვანად იხელმძღვანელოს ამ ბრძანებით, დავსძენ, რომ, უმაღლესის ნება-რთვით და თანახმად სამხედრო-სამოსამართლო წესდების 1,089 მუხლისა, სახელმწიფო საბჭოს წარედგინა ქაღალდი და ეთხოვა შევსებულ იქმნას სისხლის საქმეთა სამრთლის წესდების 1243 მუხლიც ცალკე შენიშვნით ,,იმ დუელის საქმის პირველ'' გამოძიებას, რომელშიაც ორივე პასუხის-გებაში მიცემულნი მოწინაამღდეგენი, ან ერთი მათ შორის, აფიცერთა წოდებას ეკუთვნის, ოლქის სასამართლოს პროკურორი ზედ ართავს თავის აზრს ამის შესახებ, თუ რა მიმართულება უნდა მიიღოს შემდეგ საქმემ და უგზავნის სამხედრო მინისტრს. უკეთუ სამხედრო მინისტრმა შესაძლოდ ვერ დაინახა სამოსამართლო წესის გზით იაროს იმ საქმემ, უნდა მოელაპარაკოს იუსტიციის მინისტრს, მორიგდეს იმასთან და საქმე წარუდგინოს ხელმწიფე იმპერატორს და სთხოვოს, კეთილ-ინებოს და ბრძანოს: „წარმოება მაგ საქმისა მოსპობილ იქმნასო".

ნება-რთვა ამ თხოვნის შესახებ თავის დროზედ ცალკე იქმნება გამოცხადებული.

## ძველი ჭეშმარიტება.

(ქ-ნის სავინის წარმოდგენების გამო)

ძველის დროიდგან დღემდე განათლებულ ქვეყანიერებას უცილობელ ჭეშმარიტებად მიაჩნია ის აზრი, რომ თეატრი დიდებული სკოლაა საზოგადოებისათვის. ეს ის სკოლაა, რომელშიაც ბეჯითად იწვრთნება ჭკუა და ზნეობა ადამიანისა. დიდი ხანია კაცობრიობამ შეიგნო მეთქი ეგ აზრი, დაძველდა იგი, მაგრამ ზოგჯერ ძველი აზრების მოგონებაც კარგია... მით უმეტეს ჩვენთვის... მართალი გითხრათ, ჩვენ იმასაც ვშიშობთ, ვაი, თუ ბევრს ჩვენში ეგ ძველი ჭეშმარიტება, თეატრის მნიშვნელობის შესახებ ისე ღრმად არ ჰქონდეს გამჯდარი ძვალსა და რბილში, როგორც სასურველია.... რომ სრული გულცივობა დავსწამოთ ჩვენს საზოგადოებას თეატრისადმი,—ეგ აშკარა უსამართლობა იქმნება, მაგრამ ისიც მართალია, რომ ჩვენი საზოგადოება მაინცა და მაინც გულ-მოდგინედ არ სწირავს მსხვერპლს დიდებულს ტაძარს ხელოვნებისას. ბევრი მჭევრმეტყველობა და ენერგია მოახმარეს ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის უკანასკნელ კრებებზე ქვეყნის გულ-შემატკივართა ამ ძველ ჭეშმარიტების აღდგენას; ბევრი უქადაგეს ამ კაცებმა საზოგადოებას თეატრის უდიდეს მნიშვნელობაზე, მაგრამ ამ ფხიზელმა და ყოველ კეთილ საქმისთვის თავ-გამოდებულმა საზოგადოებამ ქართული თეატრისთვის ასი თუმანიც არ გაიღო.

ვინ იცის რას მოასწავებს ეს; იქნება საზოგადოება გულ-ნატკენად იყოს ქართულს თეატრზე? დიახ, გულ-ნატკენად არის, და ამის მიზეზად ასახელებს ჩვენი რეპერტუარის და არტისტების უვარგისობას. ვერ აკმაყოფილებო დღეს ჩვენი თეატრი გონება-განვითარებულ საზოგადოების გემოვნებას; საზოგადოება ვერაფერს იძენს ჩვენს თეატრში სიარულით, რადგან ეგ უკანასკნელი ერთობ დაშორებულიო ნამდვილი თეატრის იდეალს.

მერე რა, თუნდაც რომ მართალი იყოს ჩვენი თეატრის უვარგისობა? განა ეგ საბუთია იმისა, რომ ჩვენს თეატრს წესი აგვოს?! ერთი მიჩვენეთ, სხვა რომელი კეთილი და სასარგებლო საქმე აღორძინდა ჩვენში უმსხვერპლოდ? სხვა საქმისთვის თუ ტყავს ვიძრობთ და არაფერი გვეშურვება, ნურც ხელოვნებისთვის და მის ტაძრისთვის დავიშურვებთ ჩვენს მცირე წვლილს. ვისაც ერი უყვარს და მის მომავალს დიდებას ეტრფის, ის ეროვნულს ხელოვნებას ძალიან ძვირად უნდა აფასებდეს მისთვის, რომ ხელოვნების ნაწარმოებში გამოიხატება თავისებური ნიჭი და ფერი მთელის ერისა. მეცნიერების ნაწარმოები რაც უნდა იყოს კოსმოპოლიტურის ხასიათისაა, ხოლო ხელოვნების ნაწარმოებს უსათუოდ, ეროვნული დაღი აზის. მოვა დრო უსთუოდ, როდესაც ჩვენს ხალხს საკმაოდ ეყოლება მეცნიერები, მაგრამ მარტო მით ის ვერ შეირჩენს თავის „მეს", მან უნდა იზრუნოს ხელოვნებაზე. თუ საჭირო იქნა საშინელი მსხვერპლებიც უნდა იკისროს მისთვის. აი, სწორედ მაშინ შეგვეძლება ვსთქვათ, თუ ჩვენი ერის ხმაც გაისმის განათლებულ კაცობრიობის საზოგადო კონცერტშიო, მაშინ მოვიპოვებთ ქვეყნის პატივისცემას.

გადავავლოთ თვალი კაცობრიობის ისტორიას! თმა აგვებურძგება, ჟრუანტელი გაგივლით ტანში, როდესაც ჩამოსთვლით იმ აუარებელს მსხვერპლს, რომელნიც ადამიანს ხელოვნებისთვის შეუწირავს. რასაკვირველია, ჩვენ არ ვართ მომხრე ისტორიულის უსამართლობისა: ჩვენ არ გვინდა, რომ წმიდა საკურთხეველი და კედლები ხელოვნების ტაძრისა იყოს შეღებილი ადამიანის სისხლით, ჩვენ არ გვინდა, რომ ეგ ტაძარი ღატაკ ხალხის ძვლებზე იყოს აშენებული... ჩვენ ვთხოულობთ ჩვენი თეატრისთვის ისეთს მცირე მსხვერპლს, რომლის შეწირვაც ჩვენს საზოგადოებას გაუჭირვებლად შეუძლია. ჩვენ გვსურს მხოლოდ ის, რომ ჩვენს საზოგადოებას თეატრი მეტ ბარგად არ მიაჩნდეს, სთვლიდეს მას ქვეყნისთვის სასარგებლო საგნებთ შორის.

ილ. პონტოელი

(შემდეგი იქმნება)

## კორესპონდენცია

**გორი.** ხუთშაბათს, 9 თიბათვეს, საღამოს ათი საათი იქნებოდა, როცა გორის სამოქალაქო ბაღში ერთი საშინელი წივილ-კივილი ასტყდა. მრავალი მოსეირნე კაცი და ქალი მიაწყდა „დიდ ქუჩაზე" გამოსასვლელს კარებს და ჰყვიროდა: „არიქათ, ხალხო, ტერაკოფაანთ ლიზა მოიტაცესო!" მოიჰრნენ პოლიციის ბოქაულებიც ყაზახებით და აქ შემდეგი სურათი წარმოუდგათ ყველას: ვიღაც ახალგაზდა კაცი ეჭიდებოდა ქალს და უნდოდა ეტლში ჩაესვა. ახალგაზდა კაცს გზას უკეთებდა მხედარი ჩაჩანი ამოღებულის ხმლით და იძახოდა; „შორს ჩამოდექითო!.." მეეტლე გადმომხტარიყო, ქალიც რამდენჯერმე გაუსხლტებოდა ხელიდან და წივილ-კივილით ეტლს გარს ურბენდა. ამ დროს პოლიცია და ხალხიც ჩაერია ამ დიდ ჩოჩქოლში. ჩაჩანი, მთელის ძალ-ღონით ეზიდება ქალს, რომ ცხენზედ შეისვას. მაგრამ ქალს ჩამოჰკონწიალებია ნათესავი ქალი კეკე, რომელიც იქავე შესწრებია და ისე მაგრად დაუბღუჯია, რომ ლიზას სრულიად ეხევა ტანისამოსი. პოლიციამ და ხალხმა ხელიდგან წაჰგლიჯეს ქალი და ქალის მოტაცების მსურველთ, პოლიციისათვის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. გულ-წასული ქალი ექიმთან წაიყვანეს მოსაბრუნებლად და მოაბრუნეს. ამბობენ ახალგაზდა კაციც, მისი გატაცების მსურველი, რომელსაც ცოლად შერთვა ნდომებია, ავად გახდაო.

დამსწრე

**ახალ-სენაკი,** 6 ივნისი. ხუთს ივნისს ნაშუაღამევის სრული პირველი საათი იქმნებოდა, რომ ცეცხლი გაუჩნდა თავ. ფარნაოზ მხეიძის შენობას, რომელშიაც ამ რამდენისამე წლის წინად სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი იყო მოთავსებული. ცეცხლი უცბად გადავიდა იქვე ახლო ბესარიონ ხოჭოლავას სახლზედ და ორივე სახლი ორის საათის განმავალობაში სულ ერთიანად ნაცარფერფლად იქცა. როგორც ამბობენ, ორივე შენობა დაზღვეული ყოფილა. თავ. მხეიძის შენობაში ამ ხანად არავინ იდგა და ხოჭოლავა კი თითონ სცხოვრებდა თავისის ცოლშვილით. იმავე ღამეს, რა დროსაც ეს უბედურება მოხდა, ხოჭოლავას სტუმრები ჰყოლოდა მოწვეული, მაგრამ, როგორც მასპინძელს, სტუმრებსაც არაფერი გაუგიათ, სანამ

---

„ეგ ხ ე რ ხ ი შენივ წამქცევი,
შემარცხვენელი არიო!.."
წამოჰკრა ხელი, გასტყორცნა
და გაუყენა კარიო...

**

არ გამიკვირდება სწორედ ის, რომ, როცა ქვეყანაზე ამგვარი ქონდრის კაცები გამრავლდებიან და სამეფოს დამცველ-დამხსნელად ამგვარი „ხერხები" იქნებიან ხმარებულნი, რომ მაშინ გულ-გატეხილად უყუროს ჩვენს ცხოვრებას რომელიმე ჩვენთაგანმა.

მე ვფიქრობ, სწორედ ამისათვის, ვნახე ამ დღეებში ერთი ახალგაზდა გიორგის ბუფეტში ჩვენს ცხოვრებაზედ გულ-გატეხილი!.. სულ ექვსი ვიყავით, ექვსივე ქართველები... საუბარი გაიმართა; ბევრგვარ საგანს შევეხეთ, ბევრგვარი აზრი და შეხედულობა გამოითქვა ჩვენს მდინარე ცხოვრებაზედ. ყველა ჩვენთაგანი თავის ენით ლაპარაკობდა, გარდა იმ ერთისა, რომელსაც უთუოდ რომელიმე ავადმყოფობამ თავისი ენა მოსტაცა და ამისათვის სხვისი ენა ეპოვნა და მითი საუბრობდა!.. სრულიად გულ-გატეხილი იყო ჩვენს საზოგადოებაზედ, ჩვენს ცხოვრებაზედ და მეტადრე ჩვენს მანდილოსნებზედ... ამტკიცებდა, რომ ისეთი ზნე დაცემულობა, სულის სიმდაბლე, ყოველგვარი მოუფიქრალი გარყვნილება ჩვენის ქვეყნის მანდილოსნების ბრალია; რომ ისინი არიან ყოველივე უკულმართობის სათავე, რომელიც მთელი დედამიწის გულზე მცხოვრებთ ასნეულებს და სწამლავსო და სხ...

ყოველივე ჩვენი საბუთები, ჩვენი რწმუნება, ჩვენი დასკვნა, რომელიც, არამც თუ ეწინააღმდეგებოდა მის მიერ ნალაღადებს, არამედ ძირიანად აქარწყლებდა მას,—მისთვის ფუჭად შეიქნა და ის კიდევ თავისას არ იშლიდა!..

— კაცო! დანა-ჩანგალი ავართვათ იმას—წამჩურჩულა ერთმა ჩემმა მეგობარმა.

რადა?—ვკითხე მე:

— რადა და იმისათვის, რომ ეგ უსათუოდ გიჟია, ჭკუა არეული და მეშინიან არ დაგვერიოს!..

ნუ გეშინიან, ჩემო კარგო!—ვუპასუხე. ვერ ხედამ, რომ მაგას ეგ-კი არ ლაპარაკობს, არამედ სხვა ტომის კაცი გვესაუბრება და იმათ ხომ მაგვარი აზრი ჩვენზედ მიეტევებათ.

როგორ თუ სხვა ტომის?—მკითხა გაოცებით.

— როგორ ვერა ხედავ? მაგან თავისი ენა დაჰკარგა და სხვისი ენა მოიპოვა; თავის აზრები და გონება თავის ენას აახლო და სხვისი აზრებით აღიჭურვა... ეს არის მიზეზი... გთხოვ დაჩუმდე!..

— მართლა?!—სთქვა ჩემმა მეგობარმა და ზედაც დაუმატა:

„ვაი, ჩემო თალხანაო
ჭკუაზე რა თხლად ხარაო!.."

**

„ჩვენო, განაგრძო სხვისი ენით მოსაუბრემ, რაც ვიყავით ის აღარ ვართ! გამოვიცვალეთ, დავსუსტდით, დავბნდით, ზნეობითად დავეცით!.. ჩვენი არსებობა ისპობა... და თუ ჩვენ გვინდა ისევ ის ვიყოთ, რაც ვიყავით—ჩვენ უნდა „ობნავლენიე" მოვახდინოთ... მერე და იცით როგორ მოხდება ეს „ობნოვლენიე"? ძალიან ადვილად: ყოველმა ჩვენთაგანმა წესად უნდა დავადგინოთ, რომ არც ერთმა ქართველი ქალი არ შევირთოთ! ქართველის ქალის შერთვა და ჩვენი ქვეყნის პირიდამ აღხოცვა ერთი იქნება!.. ქართველმა ქალებმა ერთი საუკუნე და ანუ ერთ საუკუნე ნახევარი მოიცადონ, ნუ გათხოვდებიან და როცა ჩვენ „ობნავლენიეს" მოვახდენთ მერე გამოგვყვნენ ცოლებათ... მაშინ მესმის—კარგიც იქნება და სასარგებლოც... დღეს-კი მოვალენი ვართ ცოლებათ იმ ტომის ქალები შევირთოთ, რომელმაც ააშენოს ღმერთმა, თავისი ენა მათხოვა... რომ არ ეთხოვებია, რაღა მეშველებოდა? შიგ სასაში ამომაწყდა დედაენა! ნეტაი იმოდენი მაინც ჩამრჩენოდა, რომ ერთი სიტყვის თქმა მაინც შემძლებოდა ჩვენებურად, თორემ, აი, თქვენც მოწმენი ბრძანდებით, რომ ერთი ჩვენებური სიტყვაც არ მითქვამს. სამაგიეროდ ამ ნათხოვარ ენას ძალიან ვამუშავებ: ისე ვიტყვი ასს წინადადებას ერთს წამში, რომ სულს არ მოვითქვამ! ვიტყვი და შიგ იქნება რამე, თუარა—მაგისი-კი რამოგახსენოთ!.. ეს სულ „ობნოვლენიის" ბრალია!.. რომ ჩემს სასას ეს სხვა ტომის ენა არ მოეპოვა—ამისთანა საშვილიშვილო, ხელის-ხელ საგოგმანებ აზრებს ხომ ვერ გამოვსთქვამდი?!."

**

რაღა გვიჭირს, მკითხველო!.. ყოველივე სენი, ყოველივე წუნული, ყოველივე ნაკლი ჩვენის ცხვრებისა გაქრება „ობნოვლენიით"!.. დიაღ, უგზო-უკვალოდ გაქრება და მერე დავჯედეთ და სულ Многія лѣта" ვიძახოთ!.. ვინ სთქვა, რომ ჩვენმა, რუსთაველმა, ბარათაშილმა გრ. ორბელიანმა, ვახტანგ ორბელიანმა, აკაკიმ, ილიამ, რაფიელმა და სხ. ვერ გამოიჩინეს ზედ მოქმედების ძალაო?! ისინიც ხომ ამგვარ „ობნოვლენიებზედ ღაღადებენ და უხაროდეთ მათ, რომ მათს დიდებულს გუნდს ერთი ასეთი კიდევ დიდებული მღაღადებელი მიემატა!.. ვინეტაროდ ჩვენ, რომ ამ ბოლოს დროს ასეთი მოძღვრები დაგვებადენ?.. ნეტავი-კი ამ ნეტარებას არავინ შეგვიფერხებდეს და არ ჩამოგვძახებდეს ყურში: „უფრო კარგი „ობნოვლენიე" ის იქნება, მაგ გვარ „ობნოვლენიის" მღაღადებელთაგან, რომ განთავისუფლდებოდეთო. მაგრამ ამას ვინ გაბედავს და მაშ ისევ ვინეტაროდ!..

ვიმღეროთ: ეშმაკს მ ე თ ა უ რ ს
და მისს მფარველსა „ ს ა მ თ ა ო "
მალე მიაყრის შავ-კვნებს
იმერეთისა ცხრა მთაო!

—

ნურც შეგვაშინებს უგნურის
უწესო ხ ე რ ხ ი , ს ა რ მ ა ო :
მართალი მართლად დარჩება,—
ცრუ-კი წაიღოს ქარმაო!..

—

ნუ დაგვაღონებს ზოგ-ზოგის
„ ო ბ ნ ა ო ვ ლ ე ნ ი ე ", წესიო:
მას ყველა გადააბიჯებს—
ღობეა უმდაბლესიო!..

—

იმედით, მძლავრის იმედით
გავმსჭვალოდ ხმები სტვირისო
და წამ-და-უწამ ნუ ვიწყებთ
ზოგიერთსავით ტირილსო!..

ვინმე

გარედამ არ შეატყობინეს ცეცხლის გაჩენის ამბავი. ხოჭოლავა და მისი -სტუმრები თავზარდაცემულები უეცრად აიშალნენ და სცადეს ავეჯის გადარჩენა, მაგრამ გვიანღა იყო, რადგანაც გაძლიერებული სტიქიონი, ისე მოსდებოდა სახურავს, რომ კაცი იძულებული იყო რამე გამოეტანა. პოლიცია დროზე მოიჭრა და ხალხიც, მაგრამ აბა რას გააკეთებდნენ მარტო ცარიელის ხელით! ხალხი წყალს, ზოგი თუნგუხით ეზიდებოდა, ზოგი კოკითა და ვედროთი? სამწუხაროდ, სხვა ცეცხლის საქრობი იარაღი არ აღმოაჩნდათ. თუმცაღა ამ ორი-სამის წლის წინად ფული მოიკრიბა ვაჭრებისაგან ცეცხლის საქრობ მაშინის შესაძენად, მაგრამ, ნაცვლად ახალის მაშინისა, ძველი და ყოვლად გამოუსადეგარი ჩამოეტანათ.

კარგს იზამდა პოლიცია, ვაჭართა და მცხოვრებთა ხარჯით შეიძენდეს ცეცხლის საქრობს ახალს იარაღს. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ცეცხლი ძალიან ხშირადა ჩნდება ჩვენს დაბაში. მართლაც არა გვგონია, რომ ამდენის ცეცხლით წაკიდება და გადაბუგვა, არამც თუ ამისთანა პატარა დაბაში, არამედ დიდს ქალაქშიაც იყოს ასე ხშირი. ამას წინად შვიდი დუქანი გადაიწვა აქ. თავისის სამზარეულოთი. შემდეგ ვიღაც რჯულის მტერს, აქაურ სასულიერო სასწავლებლის განადგურება მოუწადინია, მოემზადებინა ერთი ქილა ბამბა, ნავთში დასველებული, მაგრამ სასწავლებელი უვნებლად გადარჩა: თუმცა იატაკს მოჰკიდებოდა ცეცხლი, მაგრამ ისევ გამქრალა. ასეთი ბოროტმოქმედება აქ ხშირია, მაგრამ მთავრობას ჯერ-ჯერობით ვერ მიუგნია. ეს უკანასკნელი ამბავიც, როგორც ამბობენ, განზრახ არის ჩადენილი ð იმედია ადგილობრივი გამგეობა ეხლა მაინც თავის განსაკუთრებითს ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას და აღმოაჩენს თავგასულ დამნაშავეს. თუ ეს ამბავიც ჩაილუულის წყალს ჩაჰყვა და არ იქმნა დამნაშავე აღმოჩენილი, მაშინ ხომ გათამამებულ რაინდისაგან მთლად დაბის გადაბუგვას უნდა მოველოდდეთ...

ტ. კა—შვილი

## გასართობი

—

აი საბუთი ფრანგთა ხასიათის ჰორიანობისა და სიმსუბუქისა. ერთს ჯარის-კაცს ომში ყუმბარამ ფეხი მოაგდებინა და საავადმყოფოში გაჰგზავნეს. ამ დროს სოფლიდგანაც წერილი მოვიდა, რომლითაც ძმა აუწყებდა მამის გარდაცვალებას. ეს ამბავი გულდამშვიდებით მოისმინა დაჭრილმა და პასუხად მისწერა ძმას:

„საყვარელო ძმაო!

დიდად გმადლობ, რომ მამიჩემის გარდაცვალების ამბავი შემატყობინე! ამისთანა შემთხვევა იშვიათი არ არის ოჯახობაში. მე, მადლობა ღმერთს, კარგადა ვარ, მხოლოდ საავადმყოფოში ვიმყოფები, რადგან ბრძოლაში ყუმბარამ ცალი ფეხი მომაგდებინა. კიდევ კარგი, რომ მეორე დარჩა, რომლითაც გადაგეხვევი და დაგშთები

შენი ძმა.“

**

მილტონმა თავისი პოემა „დაკარგული სამოთხე“ ისევ ყმაწვილმა დასწერა; მეორე-კი „ახლად ნაპოვნი სამოთხე“, რომელიც თავის ღირსებით ბევრით ჩამორჩებოდა პირველს, დასწერა უფრო გვიან, თითქმის მოხუცების დროს. ამის შესახებ ვიღამაცა სთქვა: „დაკარგულს სამოთხეში“ შეიძლება მილტონის ნიჭი ჰნახოთ, მაგრამ „ახლად ნაპოვნში“-კი სულ არა სჩანსო.

## ანგარიში

ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ გამართულის კონცერტისა, 8 აპრილს, 1894 წ.

შემოსავალი:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| გასყიდული ბილეთებისა | 513—50 |
| პრემიები | 5—90 |
| დარჩა მარკები | 6—30 |
| სულ | 525—70 |

ხ ა რ ჯ ი:

| | |
|---|---|
| კლუბის ქირა | 56— „ |
| სამუსიკო საზოგადოებას | 50— „ |
| ორის როიალის გადატან-გადმოტანა | 27— „ |
| მარკებში | 30— „ |
| ქ-ნ შანშიევისას აკომპონიმენტისთვის | 10— „ |
| სტამბას | 9— „ |
| აფიშების გაკვრა | 3—75 |
| განცხადების დასაბეჭდი: გაზ. „კავკაზს“ | 3—60 |
| „ტფილისის ლისტოკს“ | 3—90 |
| ოთხი თაიგული | 8— „ |
| მოსამსახურეთ და წვრილი ხარჯი | 16—65 |
| სულ | 217—90 |

წმინდა შემოსავალი იყო (ფულად 301 მან. 50 კაპ. და მარკებით 6 მან. 30 კაპ.

სულ 307—80

ამასთანავე საზოგადოების გამგეობა თავის მოვალეობად ჰრაცხავს მადლობა გამოუცხადოს კონცერტის გამგებელს ვნეინა დარია რამაზის ასულს შავშავაძისას და მონაწილეობის მიმღებთ: კნ. ელ. ქრისტ. ასულს ანდრონიკაშვილისას, კნ. ნ. ორბელიანისას, ქ-ნ ესთერ ცეიტლინისას, თ. აკაკი წერეთელს, ბ-ნთ ვ. ნ. ბახმეტს, არტისტს შალიაპინს, მ. ო. გრუნზენბერგს, ი. თ. სარაჯოვს, მ. პრესმანს და დ. ვნინას.

## დეპეშა

10 ივნისი

**პეტერბურგი**. გამოცხადებულია ის წესები, რა წესებით უნდა მისცეს რკინის გზებმა ტვირთი პატრონს, თუ ბარათი ამ ტვირთისა დაკარგული აქვს.

**ბუდაპეშტი**. უნგრეთის მაგნატთა პალატამ შეიწყნარა ოთხის ხმის უმეტესობით კანონ-პროექტი საქალაქო ქორწინების შესახებ.

**ვენა**. ამ უკანასკნელს კვირას უნგრეთში ნათესობის მდგომარეობა დიდად გაუარესდა.

**პეტერბურგი**. გზათა უწყების სამინისტროს განზრახვა აქვს მოაწყოს როგორმე რკინის გზაზედ ელევატორები და ხორბლის ბეღლები.

11 ივნისი

**პეტერბურგი**. ფინანსთა და სამხედრო მინისტრს მოლაპარაკება აქვთ იმის თაობაზედ, რომ ინტენდანსტვომ იყიდოს ჰქავის პური ჯარებისათვის, ხოლო მერმისს იყიდოს პირდაპირ სოფლის მეურნეთაგან.

დღეს გაემგზავრა მინისტრი ერმოლოვი სამიწად-მოქმედო მრეწველობის დასათვალიერებლად. მინისტრი მივა: მოსკოვს, ტულს, ორიოლს, ხარკოვს, სიმფეროპოლს. პეტერბურგს დაბრუნდება 1 მკათათვეს; მინისტრი დაათვალიერებს ბესარაბიის გურერნიასაც.

ხარჯის გაწერის კომისიამ გადასწყვიტა: ის ცნობანი, რომელსაც აუწყებენ თვით ხარჯის მძლეველნი ხარჯის აკრების საკრებულოთა, ამდენი ვალი გვაქვს და ამდენი თანხაო, საკომერციო საიდუმლოაო; ხარჯის აკრების ინსპექტორები პასუხის გებაში იქმნებიან მიცემულნი, უკეთუ ამ საიდუმლოს გაამჟღავნებენ.

სოფლის მეურნეთა წარმომადგენელთ მიართვეს ერთობილი თხოვნა ხვნა-თესვის მინისტრს, დააარსეთ სამზღვარ-გარედ საავენტოები, გააერთიანეთ ყველა საადგილ-მამულო ბანკები და დააფუძნეთ ერთი ბანკი საადგილ-მამულო კრედიტისა, შემოიღეთ აგრეთვე საურთიერთო დაზღვევა სეტყვისა და ცეცხლისაგანაო.

**ვარშავა**. ვისლამ ძრიელ მოიმატა; წყალი ნაპირებზედ გადავიდა; წალეკა რამდენიმე ახლო-მახლო სოფელი; დიდი წვიმებია; წყალი კიდევ მოიმატებს.

**ვენა**. მაგნატების პალატამ შეიწყნარა კანონი სამოქალაქო ქორწინებისა მუხლ-მუხლად; რამდენისამე მუხლის შესწორება მოითხოვეს კლერიკალებმა, მაგრამ უმრავლესობამ უარ-ჰყო.

## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ე. ი. ფრანცუსი, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

# „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50„ | 5 „ | 5 „ 50„ |
| 10 „ | 8 „ 75„ | 4 „ | 4 „ 75„ |
| 9 „ | 8 „ —„ | 3 „ | 3 „ 50„ |
| 8 „ | 7 „ 25„ | 2 „ | 2 „ 75„ |
| 7 „ | 6 „ 50„ | 1 „ | 1 „ 50„ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/_2$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.


**სასაპარელო ესსენცია კოლბერისა**

(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასამენდად

იარლიკზე უნდა იყოს ამომჯდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი

რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.



ახლად მოგონილი მაშინა „სლავა“ (დიდება), რომელიც უბრალ საწვავ ნავთით მოჰყავთ მოძრაობაში.

**ტ უ რ ბ ი ნ ე ბ ი**

წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილებით სჯობია და 2-დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ 10, рота, 16.

**„ნევის პაპრიზები“**

დუხები—„ნევის კაპრიზი“
ოდეკოლონი—„ნევის კაპრიზი“
საპონი—„ნევის კაპრიზი“

„მიუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ საპ. ð ოდეკ.

სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

„**კაპრიზ ნევის**“ გასაკეთებელს იარალს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.

Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში

(50—45)


Дозволено цензурою Тифлисъ, 12-го Іюня 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.